

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური



საშემსრულებლო - შემოქმედებითი მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის
მომზადებისა და დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემა

მუხლი 3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის შემოქმედებითი პროექტი (მიმართულებების მიხედვით)

მუხლი 5. საშემსრულებლო მიმართულების თეორიული/წერითი ნაშრომი (მიმართულებების მიხედვით)

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის დაფინანსება

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება (მიმართულებების მიხედვით)

მუხლი 9. დასკვნითი დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. მაგისტრატურის საშემსრულებლო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ პროგრამულ კონცენტრაციებს:

№ სათეატრო მიმართულებით: დრამის რეჟისურა, მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება, დრამატურგის ხელოვნება;

№ კინო-ტელე მიმართულებით: აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, სატელევიზიო და ხმის რეჟისურა), კინო-ტელე ოპერატორი, კინო-ტელე დრამატურგია;

№ ქორეოგრაფიული მიმართულებით: ქართული ცეკვა და სადადგმო ხელოვნება;

№ სამუსიკო მიმართულებით: ქართული ხალხური სასიმღერო და სამგალობლო ხელოვნება.

- 1.2. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გათვალისწინებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების IV სემესტრში. მისი შესრულება სავალდებულოა.
- 1.3. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კვალიფიკაციის ხარისხის დემონსტრირების და შეფასების მტკიცებულებას.
- 1.4. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს შემოქმედებითი პროდუქტის და თეორიული/წერიტი ნაშრომის ერთობლიობას.
- 1.5. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის სისტემიზირება, კვლევითი, პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, კერძოდ:
 - № დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი ფუნდამენტური და სპეციფიკური მეთოდებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც აისახება პრაქტიკულ ნაშრომში;
 - № შემოქმედებითი პროდუქტის დამოუკიდებლად შექმნის უნარი უახლესი მეთოდებისა და ორიგინალური მიდგომების გამოყენებით და მისი დემონსტრირება;
 - № შემოქმედებითი პროდუქტის მიმართ ანალიტიკური მიდგომების გამოვლენა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- 1.6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ათვისებული აქვს ყველა გავლილი სასწავლო კურსის კრედიტი.
- 1.7. საშემსრულებლო მიმართულების ყველა დარგის სამაგისტრო ნაშრომისთვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 20 ECTS.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემა

- 2.1. სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს მაგისტრანტი ირჩევს სწავლების მესამე სემესტრის დასაწყისში, შესაბამისი პროგრამული მიმართულების მიერ განსაზღვრული თემატიკების ფარგლებში მოცემული თემების ჩამონათვალიდან. მაგისტრანტს შეუძლია ისარგებლოს პროფესორის საკონსულტაციო საათებით.
- 2.2. მაგისტრანტს უფლება აქვს მესამე სემესტრის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მოითხოვოს არჩეული თემის დასახელების კორექტირება ან თემატიკის ჩამონათვალში ახალი დასახელების თემის დამატება.
- 2.3. მეოთხე სემესტრის დასაწყისში (არაუგვიანეს პირველი კვირისა) სამაგისტრო ნაშრომის დაზუსტებულ თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

- 3.1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე, დოქტორის ხარისხის მქონე უფროსი მასწავლებელი და/ან მოწვეული სპეციალისტი.
- 3.2. თანახელმძღვანელი შეიძლება დაინიშნოს თეორიული/წერითი ნაშრომის შესასრულებლად.
- 3.3. სამაგისტრო ნაშრომზე მომიჯნავე სპეციალობებში მუშაობისას შეიძლება დამატებით დაინიშნოს კონსულტანტი.
- 3.4. ხელმძღვანელი ვალდებულია:
 - ✓ დაეხმაროს მაგისტრანტს სამუშაო/ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და მონიტორინგი გაუწიოს ამ გეგმის შესრულებას.
 - ✓ სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს წერილობითი დასკვნა, რომელშიც ასახული უნდა იქნეს:
 - ✓ ნაშრომის სათაური;
 - ✓ მაგისტრანტის ვინაობა და მისი უნარები;
 - ✓ ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება;
 - ✓ დასკვნა ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

- 3.5. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას ნაშრომის ხელმძღვანელობაზე. გონივრულ ვადებში მან განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიშნება ახალი ხელმძღვანელი. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ხელმძღვანელი ვალდებულია გააგრძელოს დაკისრებული მოვალეობა.
- 3.6. მაგისტრანტს უფლება აქვს, არგუმენტირებული მიზეზის შემთხვევაში, მოითხოვოს ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლა. გონივრულ ვადებში მან განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიშნება ახალი ხელმძღვანელი. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში იგივე ხელმძღვანელი აგრძელებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

მუხლი 4: სამაგისტრო ნაშრომის შემოქმედებითი პროდუქტი

ქ) შემოქმედებითი პროდუქტის (სპექტაკლის, ფილმის, საცეკვაო კომპოზიციის და ა.შ.) შინაარსობრივი, სტრუქტურული და ტექნიკური პარამეტრები განისაზღვრება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით:

4.1. შემოქმედებითი პროდუქტი თეატრის მიმართულებით - დრამის რეჟისურა:

- 4.1.1. თეატრის მიმართულებით კონცენტრაციზე „დრამის რეჟისურა“ შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს დასრულებული სახის სპექტაკლს.
- 4.1.2. პიესის შერჩევა შემოქმედებითი პროდუქტისათვის ხდება ინდივიდუალურად, სტუდენტის მიერ და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე.
- 4.1.3. შემოქმედებითი პროდუქტის შემსრულებელთა რაოდენობა არ არის რეგლამენტირებული.
- 4.1.4. შემოქმედებითი პროდუქტის - სპექტაკლის ქრონომეტრაჟი უნდა იყოს არანაკლებ 60 წუთისა.
- 4.1.5. შემოქმედებითი პროდუქტი - სპექტაკლი უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის სასწავლო ან პროფესიული თეატრის ბაზაზე.
- 4.1.6. დაუშვებელია პლაგიატიზმი - სხვა რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლიდან ფრაგმენტების, ცალკეული სცენების გამოყენება. პლაგიატიზმის აღმოჩენის შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი მოიხსნება დაცვიდან.

4.2. შემოქმედებითი პროდუქტი თეატრის მიმართულებით - მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება:

- 4.2.1. თეატრის მიმართულებით კონცენტრაციაზე „მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება“ შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს დასრულებული სახის მხატვრულ სცენურ სახეს.
- 4.2.2. შემოქმედებითი პროდუქტის - როლის, პერსონაჟის შერჩევა ხდება ჯგუფის ხელმძღვანლის მიერ და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე.
- 4.2.3. შემოქმედებითი პროდუქტის - როლის - ჟანრი და მოცულობა არ არის რეგლამენტირებული.
- 4.2.4. შემოქმედებითი პროდუქტი - როლი - უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის სასწავლო ან პროფესიული თეატრის სცენაზე.

4.3. შემოქმედებითი პროდუქტი თეატრის მიმართულებით - დრამატურგიის ხელოვნება:

- 4.3.1. თეატრის მიმართულებით კონცენტრაციაზე „დრამატურგიის ხელოვნება“ შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს დასრულებული სახის პიესას.
- 4.3.2. შემოქმედებითი პროდუქტი - პიესა - თემატური თვალსაზრისით უნდა იყოს საინტერესო, ჟანრული თვალსაზრისით ორიგინალური.
- 4.3.3. შემოქმედებითი პროდუქტი - პიესა - ამბის აგების თვალსაზრისით, მკაფიოდ უნდა წარმოაჩენდეს დრამატურგიულ კანონებს (ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ფინალი)
- 4.3.4. შემოქმედებით პროდუქტში - პიესაში - გმირის შემოყვანა გააზრებულად უნდა ჩანდეს, უნდა ჩანდეს მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირების ხასიათების განვითარება, კონფლიქტის აგების პრინციპი.
- 4.3.5. პიესის მინიმალური მოცულობა - 8-10 გვერდი (გაფორმებული „წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტის“ გათვალისწინებით);
- 4.3.6. დაუშვებელია პლაგიატიზმი - სხვა დრამატურგის მიერ დაწერილი პიესიდან ფრაგმენტების, ცალკეული სცენების გამოყენება. პლაგიატიზმის აღმოჩენის შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი მოიხსნება დაცვიდან.

4.4. შემოქმედებითი პროდუქტი კინო-ტელე მიმართულებით - აუდიო-ვიზუალური რეჟისურა:

- 4.4.1. კინო - ტელე მიმართულების (მხატვრული, დოკუმენტური, ტელერეჟისურა) შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს დასრულებულ ფილმს - მხატვრული, დოკუმენტური, სატელევიზიო ფორმატი (გადაცემა, ვიდეორგოლი, რეკლამა, ტოკ - შოუ და სხვ);

- 4.4.2. შემოქმედებითი პროდუქტის თემის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად. შემოქმედებითი ჯგუფი (ოპერატორი, ხმის რეჟისორი და სხვ.) სასურველია დაკომპლექტდეს უნივერსიტეტის ბაზაზე.
- 4.4.3. შემოქმედებითი პროდუქტის ქრონომეტრაჟი უნდა იყოს არანაკლებ 10 წუთისა (მცირეფორმატიანი პროდუქტის შემთხვევაში დასაშვებია გამონაკლისი ფაკულტეტის საბჭოს დასკვნის საფუძველზე).
- 4.4.4. შემოქმედებითი პროდუქტი აიგება კინემატოგრაფიული დრამატურგიის ძირითადი პრინციპების დაცვით;
- 4.4.5. შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტაცია უნდა ითვალისწინებდეს დასრულებული პროდუქტის წარდგენასა და დაცვას.

4.5. შემოქმედებითი პროდუქტი ხმის რეჟისურის მიმართულებით:

- 4.5.1. ხმის რეჟისურის მიმართულების შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს დასრულებულ ფილმს (მხატვრული, დოკუმენტური, სატელევიზიო, სატელევიზიო ფორმატი, ანიმაცია).
- 4.5.2. შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელებისათვის ხმის რეჟისორი მონაწილეობს მის მიერ შერჩეულ შემოქმედებით ჯგუფში (რეჟისორი, ოპერატორი, პროდიუსერი და სხვ).
- 4.5.3. შემოქმედებითი პროდუქტის ქრონომეტრაჟი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წუთს (მცირეფორმატიანი პროდუქტის შემთხვევაში დასაშვებია გამონაკლისი ფაკულტეტის საბჭოს დასკვნის საფუძველზე).
- 4.5.4. შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიო-ვიზუალურ სტრუქტურაში ბგერითი მხარის ფუნდამენტური პრინციპები: ეპოქის სტილისათვის დამახასიათებელი ფილმის ბგერითი აღნაგობა (დიალოგი/მონოლოგი, ადგილის დამახასიათებელი ხმა, სინქრონული ხმაურები, სპეც-ეფექტები, მუსიკა), განწყობის შესაქმნელად მაყურებელზე ბგერის ემოციური ზეგავლენა, მუსიკალური გაფორმება, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე ფილმის გახმოვანების ხარისხი.
- 4.5.5. დასრულებული შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტაცია ითვალისწინებს შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენასა და დაცვას.

4.6. შემოქმედებითი პროდუქტი კინო - ტელე ოპერატორის მიმართულებით:

- 4.6.1. კინო - ტელე ოპერატორის მიმართულების შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს დასრულებულ ფილმს, (მხატვრული, დოკუმენტური, სატელევიზიო ფორმატი);

- 4.6.2. შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელებისათვის ოპერატორი მონაწილეობს მის მიერ შერჩეულ შემოქმედებით ჯგუფში (რეჟისორი, ოპერატორი, პროდიუსერი, ხმის რეჟისორი და სხვ).
- 4.6.3. შემოქმედებითი პროდუქტის ქრონომეტრაჟი უნდა იყოს არანაკლებ - 10 წუთისა (რამდენიმე მცირეფორმატიანი პროდუქტის წარდგენის შემთხვევაში ქრონომეტრაჟი უნდა შეადგენდეს ჯამში 10 წუთს).
- 4.6.4. შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიო-ვიზუალურ სტრუქტურაში სახვითი მხარის ძირითადი პრინციპების დაცვა: ფილმის გამომსახველობითი სტილისტიკა, განათების გამოსახვის გამოყენების შესაძლებლობა, ფილმის ფერთი გადაწყვეტა, საოპერატორო ტექნიკის შემოქმედებითად გამოყენება.
- 4.6.5. შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტაცია უნდა ითვალისწინებდეს დასრულებული პროდუქტის წარდგენასა და დაცვას.

4.7. შემოქმედებითი პროდუქტი კინო-ტელე დრამატურგიის მიმართულებით:

- 4.7.1. კინო-ტელე დრამატურგიის მიმართულების შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს დასრულებულ სცენარს;
- 4.7.2. სცენარისთვის თემების და ისტორიების მოძიება და დამტკიცება ხდება ინდივიდუალურად;
- 4.7.3. ქრონომეტრაჟი უნდა იყოს არანაკლებ 30 წუთისა, რაც სცენარის შემთხვევაში განისაზღვრება მინიმუმ 30 გვერდით;
- 4.7.4. სცენარზე მუშაობა იწყება და გრძელდება მის საბოლოო ვერსიამდე კლასიკური და თანამედროვე დრამატურგიის ყველა პრინციპის დაცვით;
- 4.7.5. დაცვაზე უნდა იყოს წარმოდგენილი სრულმეტრაჟიანი ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარი, სინოფსისი, თრითმენტი და ლოგლაიანი.

4.8. შემოქმედებითი პროდუქტი ქორეოგრაფიული მიმართულებით:

- 4.8.1. ქორეოგრაფიული მიმართულების შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს დასრულებული სახის საცეკვაო ნომერს (ცეკვა, საცეკვაო სიუიტა, ქორეოგრაფიული კომპოზიცია), რომელიც შექმნილია ქართული საცეკვაო მასალის გამოყენებით (ქართული ცეკვის საფუძველზე);
- 4.8.2. შემოქმედებითი პროდუქტის თემის შერჩევა (კუთხური ცეკვა / თავისუფალი ქორეოგრაფიული კომპოზიცია) ხდება ინდივიდუალურად, სტუდენტის მიერ და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე;

- 4.8.3. შემოქმედებითი პროექტის (ცეკვის) შემსრულებელთა რაოდენობა არ არის რეგლამენტირებული.
- 4.8.4. შემოქმედებითი პროდუქტის ქრონომეტრაჟი უნდა იყოს არანაკლებ 5-8 წუთისა;
- 4.8.5. დასაშვებია მუსიკალური მასალის გამოყენება როგორც ცოცხალი შესრულებით (დოლ-გარმონი, ხალხური საკრავები, სიმღერა), ასევე, შესაბამისი მაღალი ხარისხის ფონოგრამით;
- 4.8.6. სასურველია მხატვრული გაფორმების (განათების, საცეკვაო კოსტიუმის, რეკვიზიტის, დეკორაციული ელემენტების) გამოყენება;
- 4.8.7. შემოქმედებითი პროდუქტი აიგება ქორეოგრაფიული დრამატურგიის ძირითადი პრინციპების დაცვით;
- 4.8.8. შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტაცია უნდა ითვალისწინებდეს სასცენო კულტურას (შემსრულებელთა ჩაცმულობა და ქცევა);
- 4.8.9. დაუშვებელია პლაგიატიზმი - სხვა ქორეოგრაფის მიერ დადგმული ცეკვის ფრაგმენტებისა და ქორეოგრაფიული მიგნებების გამოყენება. პლაგიატიზმის აღმოჩენის შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი მოიხსნება დაცვიდან.

4.9. შემოქმედებითი პროდუქტი სამუსიკო მიმართულებით:

- 4.9.1. შემოქმედებითი პროდუქტი სამუსიკო მიმართულებით წარმოადგენს თითოეული სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სამუსიკო მიმართულების სამაგისტრო საფეხურის დანარჩენ სტუდენტებთან დამუშავებული, სხვადასხვა კუთხისა და ჟანრის ორი ხალხური სიმღერისა და ორი საეკლესიო საგალობლის დემონსტრირებას (თითო - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან), რომელიც წარმოაჩენს თითოეული სტუდენტის სალოტბარო უნარ-ჩვევებსა (რეპერტუარის შერჩევა გუნდის შემადგენლობის გათვალისწინებით, ხმების რაციონალური განაწილება, ბალანსის დაცვა, საშემსრულებლო მანერის კუთხურთან მიახლოება, შესრულების ტრადიციული წესის შენარჩუნება...) და სცენაზე გუნდის მართვის ოსტატობას (ტონის მიცემა, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული მინიშნებები ხელის ან ტანის მოძრაობით (სიმღერის დაწყების, განსხვავებულ ნაწილზე გადასვლის, ტაშის დაწყებისა და დასრულების დროს და ა.შ)).
- 4.9.2. შემოქმედებითი პროექტის პრეზენტაცია უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული ნიმუშისთვის დამახასიათებელი შესრულების წესის დაცვას (საფერხულო შესრულებას, საკრავის თანხლებას, ცეკვას და ა.შ.)
- 4.9.3. წარმოდგენილი ნიმუშები უნდა განეკუთვნებოდეს ე.წ. „რთული“ სიმღერებისა და საგალობლების კატეგორიას.

- 4.9.4. შემოქმედებითი პროექტისთვის სიმღერებისა და საგალობლების შერჩევა ხდება სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის შეთანხმებით და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე.
- 4.9.5. შემოქმედებითი პროექტის შემსრულებელთა რაოდენობა არ არის რეგლამენტირებული. შემსრულებელთა ჯგუფი სასურველია შედგებოდეს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისაგან, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია შემსრულებელთა რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტის სხვა კურსის სტუდენტების (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა მომდერალ-მგალობლების) დამატებით.
- 4.9.6. რეკომენდებულია მუსიკალური მასალის გამოყენება როგორც საარქივო ჩანაწერებიდან, ისე ეთნოგრაფიული გუნდების რეპერტუარიდან (გლახური ფოლკლორისა და ტრადიციული საეკლესიო გალობის პრიორიტეტით).
- 4.9.7. სასურველია, პრეზენტაცია ჩატარდეს ტრადიციული სამოსით.

მუხლი 5. საშემსრულებლო მიმართულების თეორიული/წერითი ნაშრომი

- ⌋ საშემსრულებლო მიმართულების თეორიული/წერითი ნაშრომი უნდა იყოს არსებით კავშირში შემოქმედებით პროდუქტთან და აუცილებლად უნდა შეიცავდეს პრაქტიკული ნაწილის (შემოქმედებითი პროდუქტის) ანალიტიკურ შეფასებას.
- ⌋ თეორიული/წერითი ნაშრომის ძირითადი სტრუქტურული და ტექნიკური პარამენტები განისაზღვრება „წერითი ნაშრომის სტანდარტით“
(http://www.tafu.edu.ge/webmill/data/file/xarisxi/normativebi_da_instruqciebi/weriti_nashromebis_standartebi.pdf)
- ⌋ ასევე, საშემსრულებლო მიმართულების თეორიული/წერითი ნაშრომის შინაარსობრივი, სპეციფიკური სტრუქტურული და ტექნიკური მხარე უნდა შესრულდეს დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით:
- ⌋ საშემსრულებლო მიმართულების თეორიული/წერითი ნაშრომის მიმომალური მოცულობა, დანართების გარეშე - 20 გვერდია;

5.1. თეორიული/წერითი ნაშრომი თეატრის მიმართულებით - დრამის რეჟისურა (სტრუქტურა)

- ⌋ **სატიტულო გვერდი** (გარე ყდა):
- ⌋ **სარჩევი:** სარჩევი უნდა აისახოს წერითი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები) გვერდების მითითებით;

ქ) ძირითადი ტექსტი: დრამის რეჟისურის მიმართულებით თეორიული/წერითი ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ექსპლიკაცია, რომლის სტრუქტურა მოიაზრებს:

- ✓ შესავალს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს ნაშრომის მიზანი, აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა;
- ✓ ლიტერატურულ ანალიზს (პიესის ლიტერატურული განხილვა, ეპოქა, ჟანრი, პიესის თემა, იდეა, ფაბულა, სიუჟეტი და ა.შ.);
- ✓ თეატრალურ ანალიზს (პიესის მოვლენათა რიგი, ზეამოცანა და გამჭოლი მოქმედება, მთავარი პერსონაჟების ამოცანები და დახასიათება, მიზანსცენირების და სცენიური სივრცის ათვისების ძირითადი პრინციპები);
- ✓ განხორციელების ძირითად პრინციპებს (სარეჟისორო ჩანაფიქრი, სცენოგრაფია, მუსიკალური გაფორმება, ქორეოგრაფია და ა.შ.)

ქ) ბიბლიოგრაფია უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).

ქ) დანართები:

- 1) შემოქმედებითი პროდუქტის სპექტაკლის პროგრამა და აფიშა.
- 2) ესკიზები.
- 3) სცენები სპექტაკლიდან (ფოტოგერსიები)

5.2. თეორიული/წერითი ნაშრომი თეატრის მიმართულებით - მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება (სტრუქტურა)

ქ) სატიტულო გვერდი;

ქ) სარჩევი: სარჩევში უნდა აისახოს წერითი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები) გვერდების მითითებით;

ქ) ძირითადი ტექსტი წარმოადგენს როლის ლიტერატურულ და თეატრალურ ანალიზს:

- ✓ როლის ლიტერატურული ანალიზი უნდა მოიცავდეს დრამატურგის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ანალიზს, ეპოქის ისტორიულ და სოციალურ ასპექტებს, პიესის ჟანრის განსაზღვრას, პერსონაჟის დახასიათებას.
- ✓ როლის თეატრალური ანალიზი უნდა მოიცავდეს გმირის დახასიათებას, გმირის ცხოვრების წინაპირობას, როლის ჟანრულ თავისებურებებს, როლის ზეამოცანასა და გამჭოლ მოქმედებას, მოვლენათა რიგს, სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობების აღწერას.

✓ როლის ანალიზმა უნდა წარმოაჩინოს მაგისტრანტის ორიგინალური ხედვა, კრეატიული აზროვნება, ინდივიდუალიზმი.

) ბიბლიოგრაფია უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).

5.3. თეორიული/წერითი ნაშრომი თეატრის მიმართულებით - დრამატურგიის ხელოვნება (სტრუქტურა)

) სატიტულო გვერდი;

) სარჩევი: სარჩევში უნდა აისახოს წერითი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები) გვერდების მითითებით;

) შესავალი (კვლევს მიზანი, საგანი, აქტუალობა და სიახლე);

) ძირითად ტექსტში

✓ მაგისტრმა თეორიულ/წერით ნაშრომში უნდა წარმოადგინოს დრამის თეორიისა და დრამატურგიის ისტორიის ანალიზი;

✓ ნაშრომი უნდა მოიცავდეს კონკრეტული ეპოქის, დრამატურგიული მიმდინარეობის, ჟანრის ანალიზს;

✓ ძირითადი ტექსტი უნდა მოიცავდეს იმ პროფესიული ხერხების გამოყენების ახსნას და ანალიზს, რაც ლიტერატურის დრამატურგიულ ენაზე ამეტყველების აუცილებელ პირობას წარმოადგენს;

✓ ძირითადი ტექსტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, თუ როგორ, რა ხერხებით ხდება პიესაზე მუშაობის ეტაპებად დაყოფა და გადანაწილება, როგორ ხდება ამბების მოძიება, რა ეტაპებს გადის პიესა ჩანაფიქრიდან - საბოლოო ვერსიამდე. არსებითად რით განსხვავდება დრამატურგიული ტექსტი სხვა ლიტერატურული ტექსტებისაგან.

✓ ძირითადი ტექსტი უნდა მოიცავდეს წარმოდგენილი პიესის (შემოქმედებითი პროდუქტის) მოვლენათა რიგს, ზემოცანას, გამჭოლ მოქმედებას, მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების ამოცანებსა და დახასიათებას;

) ბიბლიოგრაფია უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).

) დანართი

დრამატურგიული ნაწარმოები - პიესა

5.4. თეორიული/წერითი ნაშრომი აუდიო-ვიზუალური რეჟისურის მიმართულებით (სტრუქტურა)

ქ) სატიტულო გვერდი

ქ) სარჩევი: სარჩევი უნდა აისახოს წერითი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები) გვერდების მითითებით;

ქ) შესავალი (კვლევს მიზანი, საგანი, აქტუალობა და სიახლე);

ქ) ძირითადი ტექსტი: პრაქტიკის (პროექტის) ანალიზი

ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე ტექსტი შეიძლება დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად.

რეკომენდებულია:

1) ძირითადი ტექსტი მოიცავდეს ინფორმაციას ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხერხების შესახებ, როგორცაა: ფილმის ხედვითი მხარე - ფერთა და ტონირების გადაწყვეტა, ხედები, რაკურსი, წაფენა, ჩაბნელება პანორამა, კამერის მოძრაობა, მონტაჟის სახეობა, ფილმის ხმოვანი რიგი და სხვ.;

2) ძირითადი ტექსტი მოიცავდეს ინფორმაციას, თუ როგორ არის რეჟისორის მიერ ორგანიზებული მისი შემოქმედებითი პროექტი - რა მხატვრული და ტექნიკური საშუალებებით, როგორცაა გამომსხველობითი ხერხები, გადაღების მეთოდი, ატმოსფერო, მონტაჟური გადასვლების ხერხი, ფილმის ხმოვანების გადაწყვეტა და სხვ.;

დასაშვებია:

1) აუდიო-ვიზუალური პროექტის ჟანრისა და თემატიკის გათვალისწინებით, ძირითადი ტექსტი მოიცავდეს ინფორმაციას მსოფლიოში/საქართველოში ამ ჟანრის ისტორიის შესახებ, ცნობილი რეჟისორების ფილმების შესახებ და სხვა საინტერესო ინფორმაციას;

2) ექსპერიმენტალური აუდიო-ვიზუალური ნიმუშის შემთხვევაში ძირითადი ტექსტი შეიძლება მოიცავდეს იმ სახის მასალებს, რომელიც მიესადაგება ამ პროექტის შინაარსს და ფორმას;

3) მაგისტრანტის სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტერესების გათვალისწინებით, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დასაშვებია, რომ თეორიული ნაშრომის ძირითადი ტექსტი წარმოადგენდეს დარგში არსებული რაიმე აქტუალური საკითხის ირგვლივ მსჯელობას, რომელიც ეხმიანება მაგისტრანტის შემოქმედებით ნაშრომს.

ქ) დასკვნა

ქ) ბიბლიოგრაფია უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).

დანართი

ქ) ლიტერატურული სცენარი;

ქ) სარეჟისორო ექსპლიკაცია;

-)] გმირის, პერსონაჟის დახასიათება;
-)] კადრირება;
-)] ლოკაციებისა და პერსონაჟების ფოტომასალა
-)] ფილმის ხარჯთაღრიცხვა;

*კინო-ტელე მიმართულების აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ტელერეჟისურა) სამაგისტრო ნაშრომის ყველა დანართი სავალდებულო ხასიათს ატარებს. რომელიმე მათგანის არ არსებობის შემთხვევაში ნაშრომი არ მიიღება დაცვაზე.

5.5. თეორიული/წერითი ნაშრომი ხმის რეჟისურის მიმართულებით (სტრუქტურა)

-)] **სატიტულო გვერდი**
-)] **სარჩევი:** სარჩევი უნდა აისახოს წერითი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები) გვერდების მითითებით;
-)] **შესავალი** (კვლევს მიზანი, საგანი, აქტუალობა და სიახლე);
-)] **ძირითადი ტექსტი:** პრაქტიკის (პროექტის) ანალიზი - შემოქმედებითი პროექტის ხმის დიზაინის სიტყვიერი აღწერა.

ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე ტექსტი შეიძლება დაიყოს თავებად და ქვეთავებად.

რეკომენდებულია:

- 1) თეორიული/წერითი ნაშრომი ასახავდეს და აღწერდეს იმ მეთოდებსა და ხერხებს, რომლის საშუალებითაც მოხდება ხმის რეჟისორის პრაქტიკული ნამუშევრის რეალიზაცია, რაც მოიცავს: ანალოგსა და ციფრულ ტექნოლოგიებს, სიხშირეების სპეციფიკას, ფილმის ბგერით გაფორმებასა და მისი განხორციელების გზებს;
- 2) ძირითადი ტექსტი ასახავდეს ხმის რეჟისორის მიერ შემოქმედებითი პროექტის ორგანიზებისა და განხორციელების თითოეული საფეხური, ფილმის ცალკეული პასაჟის ბგერითი აგებულების თავისებურება, ტექნიკური საშუალებების გამოყენების სპეციფიკა, საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ნამუშევრის მაღალი ხარისხის მისაღწევად გამოყენებული ტექნიკური მონაცემები;
- 3) აუდიო-ვიზუალური ნამუშევრის ბგერის ხმოვანების ახალი მეთოდებისა და ექსპერიმენტული ძიების შემთხვევაში, ტექსტი უნდა მოიცავდეს ნამუშევრისათვის შესაბამის აუდიო მასალას, რომელიც ცხადად წარმოაჩენს პროექტის შინაარსსა და ფორმას.

დასაშვებია:

- 1) ძირითადი ტექსტი მოიცავდეს ინფორმაციას შერჩეულ სპეციფიკურ ჟანრში არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და მიღწეული წარმატებების შესახებ, გამოყენებული მეთოდებისა და ტექნიკური მონაცემების შესახებ;
- 2) კონკრეტული ჟანრის აუდიო-ვიზუალური პროექტის განხორციელებისას, თეორიულ/წერილობით ნაშრომში ყურადღება უნდა ეთმობოდეს როგორც საერთაშორისო, ისე სამამულო დარგში მომუშავე სპეციალისტთა გამოცდილებას;
- 3) მაგისტრანტის სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტერესების გათვალისწინებით, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დასაშვებია, რომ თეორიული ნაშრომის ძირითადი ტექსტი წარმოადგენდეს დარგში არსებული რაიმე აქტუალური საკითხის ირგვლივ მსჯელობას, რომელიც ეხმიანება მაგისტრანტის შემოქმედებით ნაშრომს.

⌋ **დასკვნა**

⌋ **ბიბლიოგრაფია** უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).

⌋ **დანართი**

- ✓ სარეჟისორო ექსპლიკაცია
- ✓ ფილმის ხარჯთაღრიცხვა

*კინო -ტელე მიმართულების ხმის რეჟისურის სამაგისტრო ნაშრომის ყველა დანართი სავალდებულო ხასიათს ატარებს. რომელიმე მათგანის არ არსებობის შემთხვევაში ნაშრომი არ მიიღება დაცვაზე.

5.6. თეორიული/წერილი ნაშრომი ტელე -კინო ოპერატორის მიმართულებით (სტრუქტურა)

⌋ **სატიტულო გვერდი**

⌋ **სარჩევი:** სარჩევიში უნდა აისახოს წერილი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები) გვერდების მითითებით;

⌋ **შესავალი** (კვლევს მიზანი, საგანი, აქტუალობა და სიახლე);

⌋ **ძირითადი ტექსტი:** პრაქტიკის ანალიზი - ლოკაციების სიტყვიერი აღწერა;

ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე ტექსტი შეიძლება დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად.

რეკომენდებულია:

- 1) ძირითადი ტექსტი მოიცავდეს ინფორმაციას ამ პროდუქტის შექმნისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხერხების აღწერის შესახებ, როგორცაა: ციფრული გადამღები აპარატურა და ტექნოლოგია, ფილმის ხედვითი მხარე - ფერთა და ტონალობის გადაწყვეტა, პორტრეტები, ხედები, რაკურსი, წაფენა, ჩაბნელება, პანორამა, კამერის მოძრაობა და სხვ.;

- 2) ძირითადი ტექსტი მოიცავდეს ინფორმაციას, თუ როგორ არის ოპერატორის მიერ ორგანიზებული მისი შემოქმედებითი პროექტი: როგორცაა ფილმის კადრის კომპოზიციის აგებულების პრინციპი, გამომსახველობითი და ფერითი გადაწყვეტა, მუშაობა გამოსახულების ფოტოგრაფიულ ხარისხზე, ოპტიკური საშუალებების გამოყენება, როგორ იყენებს დამხმარე ტექნიკურ საშუალებებს და სხვ.

დასაშვებია:

- 1) აუდიო-ვიზუალური პროექტის ჟანრისა და თემატიკის გათვალისწინებით, ძირითადი ტექსტი მოიცავდეს ინფორმაციას, მსოფლიოში/საქართველოში ამ ჟანრის ისტორიის შესახებ, ცნობილი ოპერატორებისა და მათი ფილმების შესახებ;
- 2) ექსპერიმენტალური აუდიო - ვიზუალური ნიმუშის შემთხვევაში, ძირითადი ტექსტი შეიძლება მოიცავდეს იმ სახის მასალებს, რომელიც მიესადაგება ამ პროექტის შინაარსს და ფორმას;
- 3) მაგისტრანტის სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტერესების გათვალისწინებით, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დასაშვებია, რომ თეორიული ნაშრომის ძირითადი ტექსტი წარმოადგენდეს დარგში არსებული რაიმე აქტუალური საკითხის ირგვლივ მსჯელობას, რომელიც ეხმიანება მაგისტრანტის შემოქმედებით ნაშრომს.

დასკვნა

ბიბლიოგრაფია უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).

დანართი

- ✓ სარეჟისორო ექსპლიკაცია;
- ✓ კადრირება;
- ✓ ლოკაციებისა და პერსონაჟების ფოტომასალა;
- ✓ ფილმის ხარჯთაღრიცხვა;

*კინო -ტელე ოპერატორის სამაგისტრო ნაშრომის ყველა დანართი სავალდებულო ხასიათს ატარებს. რომელიმე მათგანის არ არსებობის შემთხვევაში ნაშრომი არ მიიღება დაცვაზე.

5.7. თეორიული/წერითი ნაშრომი კინო-ტელე დრამატურგიის მიმართულებით (სტრუქტურა)

სატიტულო გვერდი

სარჩევი: სარჩევში უნდა აისახოს წერითი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები) გვერდების მითითებით;

შესავალი (კვლევს მიზანი, საგანი, აქტუალობა და სიახლე);

ქ) ძირითადი ტექსტი: პრაქტიკის (პროექტის) ანალიზი

ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე ტექსტი შეიძლება დაიყოს თავებად და ქვეთავებად.

რეკომენდებულია:

- 1) თეორიული ნაშრომი აღწერდეს ლიტერატურული სცენარის შექმნის პროცესს: ის თუ რა ეტაპებს გადის სცენარი ჩანაფიქრიდან საბოლოო ვერსიამდე; როგორ ხდება ამბების მოძიება; რა პრინციპით მტკიცდება ამბავი სცენარისთვის; როგორ ხდება სინოფსისის დამუშავება და ეპიზოდური გეგმის შედგენა, რაც საბოლოოდ თრიტმენტის სახეს იღებს; მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირების პორტრეტების შექმნა; სცენარის ცალკეულ ეპიზოდებზე მუშაობა;
- 2) ძირითადი ტექსტი მოიცავდეს იმ პროფესიული ხერხების გამოყენების ახსნას და ანალიზს, რაც ლიტერატურის კინოენაზე ამეტყველების აუცილებელი პირობაა (მაგალითად, სცენარში უსიტყვო სცენების შემოტანა);
- 3) სასურველია, ძირითადი ტექსტი ასახავდეს განსხვავებას კინოსცენარის ტექსტის სხვა ლიტერატურული ტექსტებისაგან.
- 4) სასურველია, სცენარზე მუშაობის პროცესის აღწერას თან ახლდეს მსოფლიოში ცნობილი რეჟისორების სცენარებზე დამყარებული მაგალითები და სხვა საინტერესო თემატური ინფორმაცია.

ქ) დასკვნა

ქ) ბიბლიოგრაფია უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).

ქ) დანართი

- ✓ ლიტერატურული სცენარი;
- ✓ მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირების პორტრეტები
- ✓ სინოფსისი
- ✓ თრიტმენტი
- ✓ ლოგლაინი

* კინო-ტელე დრამატურგიის ოსტატობის სამაგისტრო ნაშრომის ყველა დანართის წარმოდგენა სავალდებულოა. რომელიმე მათგანის არ არსებობის შემთხვევაში ნაშრომი არ მიიღება დაცვაზე.

5.8. თეორიული/წერითი ნაშრომი ქორეოგრაფიული მიმართულებით (სტრუქტურა)

ქ) სატიტულო გვერდი

) **სარჩევი:** სარჩევში უნდა აისახოს წერითი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები) გვერდების მითითებით;

) **შესავალი** (ნაშრომის მიზანი, აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა);

) **ძირითადი ტექსტი:**

ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე ძირითადი ტექსტი შეიძლება დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად.

რეკომენდებულია:

- 1) საქართველოს რომელიმე საცეკვაო დიალექტის გამოყენების შემთხვევაში, კუთხური ცეკვის დადგმის დროს, ძირითადი ტექსტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ამ კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობის, მუსიკალური ფოლკლორის, წეს-ჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენების, ჩაცმულობის შესახებ და ამ კუთხის საცეკვაო ფოლკლორის ზოგად, ხოლო შემოქმედებით პროექტში დადგმული ცეკვების - დეტალურ აღწერას;
- 2) გამოკვეთილად სატრფიალო, საბრძოლო, სახუმარო, შრომის ან სხვა ხასიათის ცეკვის დადგმის დროს, ძირითადი ტექსტი შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ მსგავსი შინაარსის ცეკვების მიმოხილვას.
- 3) რომელიმე კონკრეტული ცეკვის (მაგ.: „დავლური“, „ხორუმი“, „მხედრული“ და ა.შ.), დადგმის დროს, ძირითადი ტექსტი შეიძლება მოიცავდეს ამ ცეკვის შესახებ ისტორიული თუ გეოგრაფიული გავრცელების არეალის, ვარიანტულობის, ცნობილი შემსრულებლების, დამდგმელი ქორეოგრაფების და სხვა ცნობების მიმოხილვას;
- 4) თავისუფალი ქორეოგრაფიული კომპოზიციის (მაგ. ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით აგებული ცეკვის) დადგმის დროს, ძირითადი ტექსტი შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ იმ სახის მასალებს, რომელიც მიესადაგება ამ კომპოზიციის შინაარსს და ფორმას.

) **დასკვნა**

) **ბიბლიოგრაფია** უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).

) **დანართები**

- ✓ ცეკვის პროგრამა;
- ✓ ლიბრეტო;
- ✓ კოსტიუმის ესკიზი და ესკიზის სიტყვიერი აღწერა;
- ✓ ცეკვის გრაფიკული ნახაზი კომენტირებული აღწერით;
- ✓ მოძრაობების სიტყვიერი აღწერა.

*ქორეოგრაფიული მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის ყველა დანართი სავალდებულო ხასიათს ატარებს. რომელიმე დანართის არ არსებობის შემთხვევაში ნაშრომი არ მიიღება დაცვაზე.

5.9. თეორიული/წერითი ნაშრომი სამუსიკო მიმართულებით

(სტრუქტურა):

-)] **სატიტულო გვერდი**
-)] **სარჩევი, რომელშიც** უნდა აისახოს წერითი ნაშრომის ყველა კომპონენტი (თავები/ქვეთავები/პარაგრაფები) გვერდების მითითებით;
-)] **შესავალი** ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს კვლევის საგანი, მიზნები, მეთოდები; განისაზღვროს ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება; ჩამოყალიბდეს ნაშრომის სტრუქტურა.
-)] **ძირითადი ნაწილი** შეიძლება დაიყოს თავებად, ქვეთავებად და/ან პარაგრაფებად; სტუდენტის მიერ პრაქტიკულად დამუშავებულ ნიმუშთაგან ხალხური სიმღერის არჩევის შემთხვევაში, **ძირითადი ნაწილი** უნდა მოიცავდეს:
 - 1) ინფორმაციას იმ კუთხის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული წარსულის, ეთნოგრაფიული ტრადიციების შესახებ, რომელსაც განეკუთვნება ეს სიმღერა;
 - 2) მუსიკალური დიალექტის დახასიათებას;
 - 3) ჟანრის მიმოხილვას;
 - 4) კონკრეტული ნიმუშის ანალიზს მრავალხმიანობის ტიპის, შესრულების ფორმის, ვერბალურ-მუსიკალური გამომსახველობის კუთხით;
 - 5) ნიმუშის სხვადასხვა ვარიანტების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) შედარებას;
 - 6) ინფორმაციას ნიმუშის ცნობილი შემსრულებლების შესახებ.
- სტუდენტის მიერ პრაქტიკულად დამუშავებულ ნიმუშთაგან საეკლესიო საგალობლის არჩევის შემთხვევაში, **ძირითადი ნაწილი** უნდა მოიცავდეს:
 - 1) ჰიმნოგრაფიული ხელოვნების ზოგად მიმოხილვას;
 - 2) იმ სამგალობლო სკოლის ტრადიციების მიმოხილვას, რომელსაც განეკუთვნება
 - 3) ეს ნიმუში;
 - 4) ნიმუშის ადგილსა და როლს საეკლესიო ღვთისმსახურებაში;
 - 5) ნიმუშის ანალიზს ვერბალურ-მუსიკალური გამომსახველობის კუთხით;
 - 6) აღნიშნული ნიმუშის სხვადასხვა კუთხის ვარიანტების შედარებას;
-)] **დასკვნა** უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს;
-)] **ბიბლიოგრაფია** უნდა მოიცავდეს გამოყენებული ლიტერატურის სიას ანბანური ჩამონათვალით (ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ - უცხოენოვანი და ბოლოს - ინტერნეტ-რესურსები).
-)] **დანართები** შესაძლოა მოიცავდეს: სანოტო, ტექტსტობრივ, აუდიო, ვიდეო, ფოტო, საილუსტრაციო დანართებს, ცხრილებსა და სქემებს შესაბამისი ნუსხებით.

მუხლი 6: სამაგისტრო ნაშრომის დაფინანსება

- 6.1. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის დაფინანსება ხორციელდება საჯაროდ, გამჭვირვალედ, სამართლანობის პრინციპის დაცვით.
- 6.2. სათეატრო, ქორეოგრაფიული და სამუსიკო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომები ფინანსდება ჯგუფურად, ერთიანი წარმოდგენისთვის (სპექტაკლი, ქორეოგრაფიული პროგრამა, სამუსიკო პროგრამა) დადგენილი წესის თანახმად, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 6.3. კინო-ტელე მიმართულების სამაგისტრო ნაშრომი ფინანსდება ინდივიდუალურად. სამაგისტრო ნაშრომის პროექტი წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს მესამე სემესტრის ბოლოს (დეკემბერში). ფაკულტეტის საბჭო სოთხედიანი შემაჯავებლობის ხმათა უმრავლესობით ღებულობს გადაწყვეტილებას სამაგისტრო პროექტის დაფინანსების თაობაზე.
- 6.4. თუ დაფინანსებული პროექტი არ შესრულდა და არ იქნა წარდგენილი დაცვაზე მაგისტრანტს ეძლევა უფლება მომდევნო ორი წლის განმავლობაში მოამზადოს და წარადგინოს დაცვაზე ახალი პროდუქტი თვითდაფინანსებით, პირველ წელს პროგრამით დადგენილი კრედიტების (20 ECTS) საფასურის გადახდის შემდეგ, ხოლო, მეორე წელს სრული სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად.
- 6.5. თუ დაფინანსებული პროექტი არ შესრულდა და არ იქნა წარდგენილი დაცვაზე ორი წლის შემდეგ მაგისტრანტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი და იგი ვალდებულია დაუბრუნოს უნივერსიტეტს სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყოფილი თანხა.

მუხლი 7: სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა

- 7.1. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი წარადგენს ორ ეტაპად:
 - ┌ პირველი ეტაპი - დაცვამდე ერთი კვირით ადრე წარადგენს ზოგად საუნივერსიტეტო და დარგობრივი სტანდარტების მიხედვით შესრულებულ თეორიულ/წერილობით ნაშრომს ორ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა რეცენზენტს.
 - ┌ მეორე ეტაპი - წარადგენს შემოქმედებით პროდუქტს პრეზენტაციის სახით დაცვის კომისიის წინაშე.
- 7.2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი ინიშნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, დაცვამდე ერთი თვით ადრე, პროგრამული მიმართულების წარდგენებით. რეცენზენტი შეიძლება იყოს,

როგორც შესაბამისი პროფილის სამეცნიერო (ან აკადემიური) ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური, ასევე უფროსი მასწავლებელი და/ან მოწვეული პერსონალი.

7.3. რეცენზენტს თეორიული ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე ერთი კვირით ადრე. ხოლო, პრაქტიკულ ნაწილს (შემოქმედებით პროდუქტს), გარდა კინო-ტელე მიმართულებისა, რეცენზენტი ეცნობა საჯარო წარდგენის დროს. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება ხორციელდება ორივე კომპონენტის გათვალისწინებით. რეცენზენტის ხელმოწერილი დასკვნა წარედგინება დაცვის კომისიას შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტაციის შემდეგ.

✓ კინო-ტელე მიმართულებაზე რეცენზენტს თეორიულ ნაშრომთან ერთად გადაეცემა პრაქტიკული ნამუშევრის (შემოქმედებითი პროდუქტის) ვიდეო ჩანაწერი.

7.4. დაცვის კომისია ინიშნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროგრამული მიმართულების წარდგინებით და შედგება არაუმეტეს ხუთი წევრისაგან. კომისია უფლებამოსილია თუ დაცვას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. დაცვის კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს დამამთავრებელი ჯგუფის ხელმძღვანელი.

7.5. პრაქტიკული ნაშრომის (შემოქმედებითი პროდუქტის) საჯარო პრეზენტაციის შემდეგ, გარდა კინო-ტელე მიმართულებისა, არაუგვიანეს სამი დღის ვადისა, ინიშნება დაცვის დღე, რა დროსაც ხელმძღვანელი და რეცენზენტი წარადგენენ საკუთარ დასკვნებს, რომელთა გათვალისწინებით დაცვის კომისია ახდენს თეორიული და პრაქტიკული ნაშრომების შეჯერებას და საბოლოო შეფასებას დახურული სხდომის ფორმატში.

7.6. დაცვის კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად ახდენს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას, ყველა დარგობრივი კრიტერიუმის გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს.

7.7. კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასების შესახებ მაგისტრანტებს აცნობს კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე.

7.8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტს და შეფასება შედის მაგისტრანტის სასწავლო ბარათში.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

) საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის ორივე კომპონენტის (შემოქმედებითი პროდუქტისა და თეორიული/წერითი ნაშრომის) ერთობლივი შეფასება

უნდა განხორციელდეს ერთჯერადად დარგობრივი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით 100 ქულიანი სისტემით, შემდეგი ქულათა შეფარდებით:

- ✓ შემოქმედებითი პროდუქტი - **70 ქულა**
(დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი -37 ქულა)
- ✓ წერითი (თეორიული) ნაშრომი - **30 ქულა**
(დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი-14 ქულა)

-) სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა მიერ. საბოლოო შეფასება დგინდება მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულით.
-) სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება ეფუძნება 100 ქულიან სისტემას, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
შეფასების 91-100 ქულა	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

-) შემოქმედებითი პროდუქტის სპეციფიკის გათვალისწინებით, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტს ვერ ეძლევა იგივე სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი დაცვის საშუალება. ორივე სახის (Fx/F) უარყოფითი შეფასების დროს მაგისტრანტს შეუძლია ხელახლა მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი მომდევნო წელს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად.

8.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება თეატრის მიმართულებით - დრამის რეჟისურა

შემოქმედებითი პროდუქტის (პრაქტიკული ნაშრომის - სპექტაკლის) შეფასების
კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	სპექტაკლის იდეური სიცხადე და მხატვრული მთლიანობა	10
2.	მოვლენათა რიგის გამართულობა, დინამიკა, შესაბამისი ტემპო-რიტმი	10
3.	ჟანრული მთლიანობა	10
4.	ვერსიის ორიგინალობა, მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისი სცენური გარემოს შექმნა	10
5.	აქტუალობა და მხატვრული სახეების მრავალფეროვნება	5
6.	მიზანსცენების პრინციპების დაცვა და სცენური სივრცის ათვისება	5
7.	სპექტაკლის შემადგენელი სხვადასხვა კომპონენტების მთლიანობა (განათება, რეკვიზიტი, დეკორაცია, საუნდი)	10
8.	შესაბამისი სცენური ატმოსფეროს შექმნა და გრძნობათა ბუნების ზუსტი შეგრძნება	10
	სულ	70

წერთი (თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	6
1.1.	სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	2
1.2.	სტრუქტურული გამართულობა	2
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	2
2.	შინაარსობრივი მხარე	18
2.1.	შინაარსის სრულყოფილება (ძირითადი ტექსტის)	3
2.2.	პიესის ლიტერატურული და ქმედითი ანალიზი	4
2.3.	მკაფიოდ განსაზღვრული გამჭოლი მოქმედება და ზეამოცანა	3
2.4.	სპექტაკლის თემისა და იდეის განსაზღვრება	3
2.5.	ფაბულის, სიუჟეტის, ჟანრისა და მოვლენათა რიგის ჩამოყალიბება.	3
2.6.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	2

3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1.	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	2
3.2.	კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	4
	სულ	30

8.2. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება თეატრის მიმართულებით - მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება

შემოქმედებითი პროდუქტის (პრაქტიკული ნაშრომის - როლის) შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	როლის იდეური სიცხადე და აქტუალობა.	10
2.	როლის ზემოცანის, გამჭოლი მოქმედების, მოვლენათა რიგის გამართულობა. როლის დრამატურგიული სტრუქტურა.	10
3.	როლის ჟანრული მთლიანობა, გრძნობათა ბუნების ზუსტი შეგრძნება, შესაბამისი ტემპო-რიტმი, დინამიკა.	10
4.	ვერსიის ორიგინალობა, მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისი სცენური გარემოს შექმნა	10
5.	როლის მხატვრული მთლიანობა და მრავალფეროვნება.	10
6.	მიზანსცენების პრინციპების დაცვა და სცენური სივრცის ათვისება	10
7.	შესაბამისი სცენური ატმოსფეროს შექმნა	10
	სულ	70

წერთი (თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	6
1.1.	სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	2
1.2.	სტრუქტურული გამართულობა	2
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	2

2.	შინაარსობრივი მხარე	18
2.1.	შინაარსის სრულყოფილება (ძირითადი ტექსტის)	3
2.2.	როლის ლიტერატურული და ქმედითი ანალიზი	4
2.3.	მკაფიოდ განსაზღვრული გამჭოლი მოქმედება და ზეამოცანა	3
2.4.	როლის იდეური სიცხადის განსაძღვრება	3
2.5.	როლის ჟანრისა და მოვლენათა რიგის ჩამოყალიბება.	3
2.6.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	2
3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1.	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	2
3.2.	კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	4
	სულ	30

8.3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება თეატრის მიმართულებით - დრამატურგიის ხელოვნება შემოქმედებითი პროდუქტის (პრაქტიკული ნაშრომის - პიესის) შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	პიესის იდეური სიცხადე, მხატვრული მთლიანობა და ვერსიის ორიგინალობა.	10
2.	მოვლენათა რიგის გამართულობა, დინამიკა, შესაბამისი ტემპო-რიტმი.	10
3.	ჟანრული მთლიანობა	5
4.	კონფლიქტის აგების პრინციპი.	10
5.	მხატვრული სახეების მრავალფეროვნება	10
6.	გმირისა და გმირების წარმოჩენა	10
7.	პიესის სტრუქტურა.	10
8.	ატმოსფეროს და გრძნობათა ბუნების ზუსტი შეგრძნება	5
	სულ	70

წერთი(თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	6
1.1.	სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	2

1.2.	სტრუქტურული გამართულობა	2
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	2
2.	შინაარსობრივი მხარე	18
2.1.	შინაარსის სრულყოფილება (ძირითადი ტექსტის)	4
2.2.	პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა.	2
2.3.	დრამატურგიის კანონების ცოდნა	3
2.4.	მხატვრული სტილი	4
2.5.	ფაბულის, სიუჟეტის, ჟანრისა და მოვლენათა რიგის ჩამოყალიბების უნარი	3
2.6.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	2
3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1.	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	2
3.2.	კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	4
	სულ	30

8.4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება აუდიო-ვიზუალური რეჟისურის მიმართულებით (მხატვრული, დოკუმენტური, ტელერეჟისურა)

შემოქმედებითი პროექტის (პრაქტიკული ნაშრომის - ფილმი, სატელევიზიო ფორმატი) შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ფილმის / სატელევიზიო ფორმატის იდეურ-თემატური და შინაარსობრივი გამართულობა	10
2.	ფილმის / სატელევიზიო ფორმატის რეჟისორული გააზრება	15
3.	ფილმის / სატელევიზიო ფორმატის ფორმისა და სტილის შესაბამისობა შინაარსთან	10
4.	მსახიობთან, რესპოდენტთან მუშაობა	5
5.	ფილმის / სატელევიზიო ფორმატის მონტაჟი	10
6.	ფილმის / სატელევიზიო ფორმატის ხმოვანება	10
7.	ფილმის / სატელევიზიო ფორმატის ტექნიკური შესრულება	10
	სულ	70

წერიტი (თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	8
1.1.	სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	2
1.2.	სტრუქტურული გამართულობა	3
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	3
2.	შინაარსობრივი მხარე - პრაქტიკის (პროექტის) ანალიზი	16
2.1.	შინაარსის სრულყოფილება (ძირითადი ტექსტის)	12
2.2.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	4
3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	3
3.2.	კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	3
	სულ	30

8.5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხმის რეჟისურის მიმართულებით

შემოქმედებითი პროექტის (პრაქტიკული ნაშრომის - ფილმი, სატელევიზიო ფორმატი) შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	გახმოვანების ტექნიკური მხარე	20
2.	ნაშრომის აუდიო დიზაინი	10
3.	კადრების შესაბამისი ბგერითი კომპოზიციური გადაწყვეტა	10
4.	მუსიკალური გაფორმება	10
5.	ნამუშევრის აუდიო-ვიზუალური მთლიანობა	20
	სულ	70

წერიტი (თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	8

1.1.	სამეცნიერო ნაშრომის წერითი სტანდარტების დაცვა	2
1.2.	სტრუქტურული აგებულება	3
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	3
2.	შინაარსობრივი მხარე -პრაქტიკის (პროექტის) ანალიზი	16
2.1.	შინაარსის სრულყოფილება (ძირითადი ტექსტის)	12
2.2.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	4
3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1.	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	3
3.2.	მყარი არგუმენტებით კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	3
	სულ	30

8.6. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება კინო-ტელე ოპერატორის მიმართულებით

შემოქმედებითი პროექტის (პრაქტიკული ნაშრომის - ფილმი, სატელევიზიო ფორმატი)
შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	გამოსახულების ტექნიკური მხარე	20
2.	კადრების კომპოზიციური გადაწყვეტა	10
3.	კადრების განათების გადაწყვეტა	10
4.	კადრების ფერთა გადაწყვეტა	10
5.	ნამუშევრის ვიზუალური მთლიანობა	20
	სულ	70

წერითი (თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	8
1.1.	სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	2
1.2.	სტრუქტურული გამართულობა	3
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	3
2.	შინაარსობრივი მხარე -პრაქტიკის (პროექტის) ანალიზი	16
2.1.	შინაარსის სრულყოფილება (ძირითადი ტექსტის)	12

2.2	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	4
3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	3
3.2	კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	3
	სულ	30

8.7. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება კინო -ტელე დრამატურგიის მიმართულებით

შემოქმედებითი პროექტის (პრაქტიკული ნაშრომის - სცენარის) შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	სინოფსისის ორიგინალობა	10
2.	ლოგლაინი	5
3.	თრითმენტის გამართულობა	10
4.	პორტრეტების მრავალფეროვნება	15
5.	დიალოგების გამართულობა და დამაჯერებლობა	15
6.	უსიტყვო სცენები	5
7.	სცენარის ჟანრული მთლიანობა	10
	სულ	70

წერითი (თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	8
1.1.	სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	2
1.2.	სტრუქტურული გამართულობა	3
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	3
2.	შინაარსობრივი მხარე - პრაქტიკის (პროექტის) ანალიზი	16
2.1	ამბების მოძიება	4
2.2	მთავარი და მეორეხარისხოვანი პორტრეტების შექმნის პროცესი	3

2.3	თრითმენტზე მუშაობა	4
2.4.	სინოფსისიზე მუშაობა	3
2.5.	უსიტყვო სცენები სცენარში	2
3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	3
3.2	კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	3
	სულ	30

8.8. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ქორეოგრაფიული მიმართულებით

შემოქმედებითი პროექტის (პრაქტიკული ნაშრომის - ცეკვის) შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ცეკვის იდეურ–თემატური და შინაარსობრივი გამართულობა	10
2.	ცეკვის დრამატურგიული წყობის სრულყოფილება	10
3.	ქორეოგრაფიული ლექსიკის მრავალფეროვნება და მისი შესაბამისობა ცეკვის სხვა კომპონენტებთან	10
4.	ქორეოგრაფიული ნახაზის ლოგიკური განვითარება, ფიგურათა მრავალფეროვნება და მისი შესაბამისობა ცეკვის სხვა კომპონენტებთან	10
5.	ცეკვის მუსიკალური შინაარსი, ტექნიკური ხარისხი და შესაბამისობა ცეკვის სხვა კომპონენტებთან	5
6.	ცეკვის მხატვრული გაფორმება, ჩაცმულობა, აქსესუარი, რეკვიზიტი, დეკორაცია	5
7.	მოცეკვავეთა საშემსრულებლო ოსტატობა	10
8.	ორიგინალური ქორეოგრაფიული გადაწყვეტა და სიახლე	10
	სულ	70

წერითი (თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	6

1.1.	სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	2
1.2.	სტრუქტურული გამართულობა	2
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	2
2.	შინაარსობრივი მხარე	18
2.1.	შინაარსის სრულყოფილება (ძირითადი ტექსტის)	4
2.2.	პროგრამა, ლიბრეტო (შინაარსობრივი გამართულობა)	1
2.3.	ესკიზის შესაბამისობა ცეკვასთან და მისი აღწერის გამართულობა	1
2.4.	ცეკვის ნახაზის ტექნიკურ-სქემატური გამართულობა	4
2.5.	მოძრაობების აღწერის გამართულობა	4
2.6.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	4
3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1.	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	2
3.2.	კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	4
	სულ	30

8.9. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება **სამუსიკო მიმართულებით**:

შემოქმედებითი პროდუქტის (პრაქტიკული ნაშრომის) შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა	
		სიმღერა	გალობა
1.	შერჩეული რეპერტუარის სირთულის ხარისხი	4	4
2	ინტონირების ხარისხი	4	4
3	ანსამბლურობა (ბალანსი)	6	6
4	სოლისტ(ებ)ისა და გუნდის კოორდინაცია	4	4
5	ხელმძღვანელის კოორდინაცია გუნდთან	8	8
6	საშემსრულებლო მანერა	5	5
7	შესრულების ტრადიციულობა (ფერხული, ცეკვა, საკრავის თანხლება)* და შესრულების ტრადიციული წესის დაცვა**	4	4
	სულ	70	

*ხალხურ სიმღერაში ასეთის არსებობის შემთხვევაში

**თითო I და II ხმა, დანარჩენი - ბანები, ასევე, საგალობელში ზედა ხმის წამყვანი როლის გამოკვეთა

წერიტი (თეორიული) ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

#	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1.	ტექნიკური მხარე	8
1.1.	ტექნიკური გამართულობა	2
1.2.	სტრუქტურული გამართულობა	2
1.3.	ენობრივი, გრამატიკული და სტილისტური გამართულობა	2
1.4.	სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა (ციტირების სათანადოდ მითითება, მეცნიერული ეტიკა)	2
2.	შინაარსობრივი მხარე	16
2.1.	ეთნოგრაფიული კუთხის მიმოხილვა	3
2.2.	მუსიკალური დიალექტის მიმოხილვა	3
2.3.	ჟანრის მიმოხილვა	3
2.4.	კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მრავალხმიანობის ტიპის, შესრულების ფორმის, ვერბალურ-მუსიკალური გამომსახველობის კუთხით)	3
2.5.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	2
2.6.	დანართების მრავალფეროვნება	2
3.	პრეზენტაბელურობა	6
3.1.	თეორიული ნაშრომის პრეზენტაბელურობა და მეტყველების კულტურა	2
3.2.	კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	4
	სულ	30

მუხლი 9: დასკვნითი დებულება

- 9.1. შეფასების დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ენიჭება შესაბამისი დარგის მაგისტრის კვალიფიკაცია/ხარისხი.
- 9.2. თუ მაგისტრანტი არ ეთანხმება დაცვის კომისიის საბოლოო შეფასებას მას შეუძლია გაასაჩივროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დადგენილი წესის თანახმად.
- 9.3. შეფასების დასრულების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომი (შემოქმედებითი პროექტის DVD და წერიტი ნაშრომის ელექტრონული ვერსია) შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ინახება 2 წლის ვადით. ნაშრომი, რომელიც გამოირჩევა შესრულების

მაღალი ხარისხით და გარკვეული თვალსაზრისით რაიმე ფასეულობას წარმოადგენს ინახება განუსაზღვრელი ვადით. მსგავს ნაშრომებზე რეკომენდაცია გაიცემა პროფესორის/ასოც. პროფესორის მიერ, რომლის ხელმძღვანელობითაც შესრულდა ნაშრომი.

9.4. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში მაგისტრანტი იხსნება დაცვიდან, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი შეფასება ან ბათილდება მინიჭებული ხარისხი.